ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **17-01172972311**

თარიღი: **24.10.2017**

ადრესატი:
მერაბ არჩვაძე
პირადი ნომერი: 37001007774
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, მიკრო/რაიონი I, კორპუსი 15, ბინა 30

ბატონო მერაბ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი N19/01172222302-17 განცხადების პასუხად გეგზავნებათ ბრძანება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

დანართი: ბრძანების 1 (ერთი) ეგზემპლარი

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური -
სამსახურის უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 4-19/011722283302-17

"20" 10 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, (სექტორი – კრწანისი), მირ ვეზიროვის ქ. №13–ში (საკ. კოდი №01.18.04.006.040) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (არსებულ შენობაზე დაშენება) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ ბრძანება – №2701895 11.07.2016წ.
მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №2765500 08.08.2016წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ (სექტორი – კრწანისი), მირ ვეზიროვის ქ. №13–ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„ო-ა“ ფასადი: +20.10 ნიშნულზე, შემცირებულია აივნის სიგრძე 0.4 მ-ით. „მ-ლ“ მონაკვეთში კარის და ფანჯრის ღიობები მონაცვლებულია და გაზრდილია სიმაღლეში. „ნ-ლ“ მონაკვეთში აივანზე დამატებულია ლითონის სვეტები. +20.10 ნიშნულზე „ლ-კ“ მონაკვეთში შეცვლილია ფანჯრების ნახატი. +23.20 ნიშნულზე, კარის და ფანჯრის ღიობები მონაცვლებულია და შემცირებულია მათი სიმაღლეები. „ლ-ლ“ ღერძის მიმდებარედ აივნების გამყოფი კედელი მონაცვლებულია, ასევე შეცვლილია აივნების გაბარიტები. „ლ-კ“ მონაკვეთში ლითონის მოაჯირის ნაცვლად მოწყობილია კაპიტალური მოაჯირი და შემცირებულია მისი სიმაღლე. „მ-მ“ და „კ-კ“ ღერძების მიმდებარედ დამატებულია წყალშემკრები მილები, ასევე ფასადზე დამატებულია წყლის გადამყვანი მილები. შეცვლილია გადახურვის სიმაღლე და ქანობი.

„9-12“ ფასადი: ფასადზე დამატებულია წყალშემკრები მილი. +20.10 ნიშნულზე მოაჯირის ნაწილი მოწყობილია კაპიტალურად.

სართულებზე შეცვლილია საევნტილაციო შახტების გაბარიტები. საპროექტო სართულებზე შეცვლილია კედლების სისქე. შენობაში მონოლითური სვეტების ნაცვლად მოწყობილია ლითონის სვეტები და ნაწილობრივ მონაცვლებული აქვთ ადგილი. +23.20 ნიშნულზე სართულშუა გადახურვა მოწყობილია ლითონის და ხის კონსტრუქციით, ასევე „12-12“ ღერძის გარეთ აივნის კონსტრუქციის მოწყობა არ შეესაბამება საპროექტოს. +23.20 ნიშნულზე „მ-კ“ მონაკვეთში სართულშუა გადახურვაში შეცვლილია კიბისთვის განკუთვნილი ღიობების გაბარიტები.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. მოქ. მერაბ არჩვაძეს და ნატალია ჭეიშვილს, ქ. თბილისში, (სექტორი – კრწანისი), მირ ვეზიროვის ქ. №13–ში (საკ. კოდი №01.18.04.006.040) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (არსებულ შენობაზე დაშენება) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/01172222302-17 10.08.2017წ. განცხადება.
№წ-19/01172222302-17 11.08.2017წ. ბრძანება.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე